9 აპრილი

სსიპ ზანის საჯარო სკოლა

- სსიპ-ზანის საჯარო სკოლაში დაწყებითი მოსწავლეების და კლასის დამრიგებლების მიერ ჩატარდა 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- მოკლე წინასიტყვაობით დამსწრეთა წინაშე წარსდგა სკოლის დირექტორი,
- მასწავლებელმა აღნიშნა უანგარო ღვაწლი და ამაგი მიტინგზე მონაწილეთა --- **9 აპრილის ტრაგედია** — 1989 წლის 9 აპრილს, თბილისში მომხდარი სისხლიანი მოვლენები, რაც გამოიხატა საბჭოთა არმიის მიერ ანტისაბჭოთა, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით მოწყობილი მშვიდობიანი დემონსტრაციის ძალისმიერ დარბევაში, რის შედეგადაც დაიღუპა 21 და დაშავდა 427 ადამიანი. 9 აპრილის მოვლენებმა დიდი როლი შეასრულა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში,
- აქციების დაწყებიდან თბილისში მოსკოვიდან ალფას დანიშნულების 100 კაციანი რაზმი გადმოისროლეს. იგეგმებოდა აცქიის დაშლა. საქართველოს მთავრობასა და სამხედროებს შორის იყო შეთანხმება იმაზე, რომ აქცია მართალია ტრამვებით, მაგრამ უსისხლოდ დაიშლებოდა, მაგრამ ლენინის მოედანზე განლაგდა ჯარი, რომელსაც დაევალა მთავრობის სახლის წინ მოედანსა და რუსთაველის პროსპექტიდან რესპუბლიკის მოედნამდე მომიტინგეთა დაშლა, მაგრამ დაპირისპირებას მსხვერპლით დამთავრდა.

დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო დაღუპულთა მარადიულ ხსოვნას

დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს

ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა!

მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს!..

და კიდევ,

- დიდება მათ, ვინც იმედით, მედგრად დახვდება გარე თუ შიდა, უხილავ თუ ხილულ მტერს, ყოველ ღონეს ხმარობს რათა საკუთარი სამშობლოს ღირსება და დიდება ნებისმიერ ფასად დაიცვას და თავის მომავალს გადასცეს!

- შეეცადოთ ვიცხოვროთ ისე, მათი ამაგი წყალში არ ჩაიყაროს!

- გმადლობთ ყურადღებისათვის!